

სალომე გულიაშვილი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის დოქტორანტი
შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის
გამომძიებელი

საპატიმრო გირაოს გამოყენების საკითხი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში

Abstract

The principle of best interests is the principle of the principles of the Juvenile Justice Code. Harmonization of rights-restrictive measures with the supreme principles is essential for the harmonization of legislation and practice. The use of detention bail for juveniles creates many legal inconsistencies, which makes it necessary to analyze it and discuss ways to resolve it in the future.

With regard to preventive measures, first of all, it should be noted that its ratio is of a preventive-preventive nature, the purpose of its use is not to prove guilt. The expediency of using a specific measure of restraint is a matter of debate, given that the purpose of a measure of restraint is to ensure the proper administration of justice. In this way, it is necessary to regulate the legislation in such a way that it will be implemented. Such is the case with the use of prison bail in juvenile justice, as there are a number of inconsistencies that require the need to adjust prison bail. The only precondition for the use of prison bail is the fact of the arrest of the accused. In the case of arrest on bail due to the fact of arrest, a second measure of restraint is actually applied to the accused - detention.

საკვანძო სიტყვები: პრინციპი; შეზღუდვა; ჰარმონიზაცია; ლიბერალიზაცია.

შესავალი

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, დარგი, რომელიც ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია არის მართლმსაჯულების უმნიშვნელოვანესი ნაწილი, რომლის სწორი განვითარება საზოგადოების განვითარების ტოლფასია (ჩხეიძე, 2018:11). ვინაიდან, ბავშვები განსაკუთრებულად მოწყვლადი ჯგუფის წარმომადგენლები არიან აუცილებელია სამართალწარმოება მათ საჭიროებებზე მორგებულად მიმდინარეობდეს (კავთუაშვილი, 2019:156). დაუშვებელია ხისტი დამოკიდებულება და გლობალური მიდგომების გარეშე არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხების გადაწყვეტა (ჩხეიძე, 2018:12). ქართული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება კლასიკური გაგებით სწორედ 2016 წელს დაიწყო - არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიღებით, რომლის განმარტებით ბარათშიც აღნიშნულია, რომ მისი მიღების მიზეზი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში არასრულწლოვანთა მონაწილეობის მარეგულირებელი ნორმების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის საჭიროებაა -

არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინების აუცილებლობა.¹ მართალია, წინგადადგმული ნაბიჯია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის შემუშავება, რაც ბავშვის ინტერესებზე ორიენტირებული ნორმატიული აქტია, თუმცა იგი განვითარებისა და დახვეწის პროცესშია. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში ესაა აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდება. თავისუფლების უფლების შეზღუდვით ადამიანი ფაქტობრივად მოკლებული რჩება სხვა უფლებების განხორციელების შესაძლებლობას, რაც ავალდებულებს კანონმდებელს თავისუფლების უფლების შეზღუდვისას დაიცვას კონსტიტუციით დადგენილი ჩარევის მკაცრი სამართლებრივი სტანდარტები (ტულუში... 2013:106). არასრულწლოვანთა უფლებებისა და თავისუფლებების შემზღუდველი ერთ-ერთი სერიოზული სახეა საპატიმრო გირაო, რომლის გამოყენება/არ გამოყენების საკითხი თეორიულად კი სადააო, თუმცა პრაქტიკაში ჩვეულებრივ გამოიყენება. ამიტომაც, სტატიის მიზანია, წარმოაჩინოს თუ რამდენად უნდა გამოიყენებოდეს საპატიმრო გირაო არასრულწლოვანთა მიმართ, როდესაც თავად საპატიმრო გირაოს საკითხია კითხვის ნიშნის ქვეშ, რამდენად არის შესაბამისობაში არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის პრიორიტეტულობასთან საპატიმრო გირაოს გამოყენების სამართლებრივი საკითხი. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ჰარმონიზაციისათვის აუცილებელია საპატიმრო გირაოს საკითხის საკანონმდებლო დონეზე გადაწყვეტა, საკითხი მით უფრო სერიოზულია, რადგანაც პრაქტიკაში მისი გამოყენების საკითხთან დაკავშირებით სადაო თითქოსდა არაფერია, როცა თეორიულად სწორედ რომ საკამათოა, ვინაიდან საკითხი არაა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით დარეგულირებული და ამ დროს დაუშვებელია იმაზე აპელირება, რომ რაც უშუალოდ რეგულირებული არაა სპეციალიზებული კანონით - გადაწყდეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, ვინაიდან იუვენალურ იუსტიციაში განსაზღვრული პრინციპთა პრინციპის - საუკეთესო ინტერესის პრიორიტეტულობის არსებობა მოითხოვს, რომ ნებისმიერი საკითხის საკანონმდებლო კონსტრუქცია შესაბამისობაში იყოს მასთან. სტატიის მიზანია ორაზროვნების გარეშე წარმოაჩინოს საპატიმრო გირაოს იუვენალურ იუსტიციაში დაუშვებლობის საკითხი და კანონმდებლის „კვალიფიციური დუმილის“ დაუშვებლობაზე გააკეთოს აქცენტი, რომლის თანახმადაც ის რაზეც კანონმდებელმა პირდაპირ არ მიუთითა არ ნიშნავს რომ ზოგადი წესების მიხედვით უნდა გადაწყდეს. შესაბამისად, სტატიის შინაარსობრივი მხარე მეტად აქტუალურია და მიზნად ისახავს მანკიერი პრაქტიკის საკანონმდებლო დონეზე მოწესრიგებას იუვენალურ იუსტიციაში. ამ მიზნის მისაღწევად, პირველ რიგში განხილული იქნება საუკეთესო ინტერესის პრიორიტეტულობა, როგორც ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტისას სახელმძღვანელო პრინციპი და ნორმა, რის შემდგომაც თავად საპატიმრო გირაოს არსი იქნება გაანალიზებული, აღნიშნული საკითხების ჯაჭვური განხილვის შემდგომ მივალთ დასკვნამდე, რომ კანონმდებლის მიერ საკანონმდებლო დონეზე გაწერა უნდა მოხდეს საპატიმრო გირაოს დაუშვებლობის.

არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის პრიორიტეტულობის პრინციპის არსი, როგორც უმთავრესი გასათვალისწინებელი საკითხი საპატიმრო გირაოს ლეგიტიმაციისათვის

¹ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის განმარტებითი ბარათი. ხელმისაწვდომია: <https://factcheck.ge/wp-content/uploads/2015/06/file0012.pdf> [წვდომის თარიღი: 5 სექტემბერი 2021]

ყველაზე მთავარი პრინციპი და ინოვაცია, რაც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსმა შემოიტანა ეს არის ბავშვის საუკეთესო ინტერესებზე დაფუძნებული ინდივიდუალური მიდგომა, რაც ნიშნავს, რომ მართლმსაჯულებით სისტემაში მოხვედრილ ყველა ბავშვს უნდა მოეპყრან საჭიროებისდა მიხედვით, რაც ნებისმიერ ეტაპზე კარგად უნდა იყოს შესწავლილი (ქუთათელაძე, 2016:112). არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესის პრიორიტეტულობის პრინციპი არა მხოლოდ პრინციპთა პრინციპია, არამედ წარმოადგენს უფლებასა და საპროცესო ნორმას (შეყილაძე, 2016:286). იგი ერთდროულად ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებული პრინციპი და, ამავდროულად, მიზანია, რომ დაცული იქნეს მისი კანონმდებლობასა და პრაქტიკაში სათანადოდ დაცვა/განხორციელება (ვარძელაშვილი, 2017:72). არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპი არა მარტო მართლმსაჯულების პროცესის მონაწილეებს ავალდებულებს ამ პრინციპის „უპირველეს ყოვლისა“ გათვალისწინებას, არამედ არასრულწლოვნის მართლმსაჯულების მარეგულირებელი ნორმებიც უნდა შეესაბამებოდეს ამ პრინციპს. იგი არის მთავარი იარაღი არასრულწლოვანთა კანონმდებლობისა და პოლიტიკის შეფასების პროცესში (Hammarberg, 2008:3). საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპმა ფართო ასახვა უნდა ჰპოვოს კანონმდებლობით საქმიანობაზე. საქართველოს ბავშვის უფლებათა კონვენციასთან მიერთება ბოჭავს კანონმდებლობას არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესის „უპირველეს ყოვლისა“ გათვალისწინებით, აუცილებელია კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნებისათვის მყარი გარანტიების შექმნა და მათ მიმართ სისხლისსამართლებრივი პროცედურების უკიდურეს საშუალებად ე.წ. *ultima ratio*-დ გამოყენება (Emelonye, 2014:78). ამ კუთხით, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია არასრულწლოვანთა მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის, როგორც უკიდურესი საშუალების გამოყენებისას არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის არსის გაანალიზება და მისი პრაქტიკაში ასახვა.

არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის კანონმდებლობაში დანერგვა ჯერ კიდევ 1800-იანი წლებიდან დაიწყო, კერძოდ, როდესაც ბავშვის მეურვის საკითხი დგებოდა დღის წესრიგში, დასაყრდენი გადაწყვეტილების მისაღებად იყო ბავშვის კეთილდღეობა ან საუკეთესო ინტერესი (Howe, 2013:16). ამერიკის შეერთებული შტატები აღმოჩნდა ის სახელმწიფო, სადაც სათავე დაედო არა მარტო საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობას, არამედ, ზოგადად, იუვენალურ იუსტიციასაც (ბოხაშვილი, 2009:35). საერთაშორისო სამართალში პირველი დოკუმენტი, რომელმაც გაითვალისწინა არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი, როგორც უპირველესი მხედველობაში მისაღები გარემოება, რაც სხვა ინტერესებთან მიმართებით პრორიტეტულია, გახლდათ 1959 წლის დეკლარაცია „ბავშვის უფლებების შესახებ“. საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში, ერთი მხრივ, მე-4 მუხლში განსაზღვრულია, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში, უპირველეს ყოვლისა, გაითვალისწინება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები, მეორე მხრივ, კი მე-3 მუხლის მე-4 ნაწილი „საუკეთესო ინტერესის“ დეფინიციას ახდენს, რომ ესაა „*არასრულწლოვნის უსაფრთხოების, კეთილდღეობის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, განვითარების, რესოციალიზაცია-რეაბილიტაციისა და სხვა ინტერესები, რომლებიც საერთაშორისო სტანდარტებისა და არასრულწლოვნის ინდივიდუალური მახასიათებლების შესაბამისად, აგრეთვე, მისი აზრის გათვალისწინებით განისაზღვრება*“. კანონში არსებული ჩანაწერი „უპირველეს ყოვლისა“ გულისხმობს ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას ამ პრინციპის ფუნდამენტურ როლს და არა უბრალოდ ერთ-

ერთ გასათვალისწინებელ გარემოებას (შეყილაძე, 2016:284). გაეროს ბავშვთა უფლებების კომიტეტის განმარტებით, არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების დაცვა გულისხმობს სისხლის სამართლის ტრადიციული მიზნების – სამაგიეროს მიზდვისა და დასჯის ჩანაცვლებას რეაბილიტაციისა და აღდგენითი მართლმსაჯულების მიზნებით,² რომ იგი ორიენტირებული უნდა იყოს ახალგაზრდების კეთილდღეობაზე და მიზნად ისახავდეს მათ რეაბილიტაციას და არა დასჯას (შალიკაშვილი... 2014:348).

ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრებით, საუკეთესო ინტერესი შეიძლება, დავეყთ ძირითად (ფიზიკური, ემოციური, ინტელექტუალური) განმავითარებელ (ყოველგვარი დამაბრკოლებელი გარემოებების გარეშე ზრდასრულ ასაკში გადასვლის) და ავტონომიურ (ცხოვრების წესებიდან გამომდინარე) ინტერესებად (Freemen, 2007:27-28). დროის თვალსაზრისით იგი შეიძლება, იყოს მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი (Reynaert... 2014:2). ტერმინი საუკეთესო ინტერესები ფართო გაგებით გულისხმობს არასრულწლოვნის კეთილდღეობას (Okott-obbo.... 2008:14).

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები გულისხმობს ორი ცნების ერთიანობაში განხილვას: კონტროლისა და გამოსავლის ძიებას. კონტროლი – გულისხმობს ბავშვის უფლებებისა და მასთან მიმართებით არსებული ვალდებულებების ჯეროვნად განხორციელებას, გამოსავლის ძიება კი – კონკრეტულ შემთხვევაში გადაწყვეტილების მიღებისას ყველა შესაძლო გამოსავლის მოძიებასა და შეფასებას (შალიკაშვილი... 2016:73). საუკეთესო ინტერესის ტესტი გულისხმობს სწორედ იმას, რომ მიღებული გადაწყვეტილება უნდა იყოს არა ერთ–ერთი კარგი ან მისაღები რამდენიმე ალტერნატივიდან, არამედ – მათ შორის საუკეთესო (Elliston, 2007:19). სავსებით ლოგიკურია, რომ ლიტერატურაში არ არსებობს საუკეთესო ინტერესებისადმი ერთიანი მიდგომა, რადგან შეუძლებელია, განვსაზღვროთ ზუსტად, თუ რა არის საუკეთესო ინტერესი, ვინაიდან იგი საკმაოდ კომპლექსურია, ყოვლისმომცველი და მხოლოდ ყოველი კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებითაა შესაძლებელი მისი ჩამოყალიბება. ვერ დავეთანხმები ლიტერატურაში რიგ ავტორთა მიერ გამოთქმულ მოსაზრებას, რომ საუკეთესო ინტერესის ცნება არის განუსაზღვრელი და ბუნდოვანი, რამაც შეიძლება, შექმნას არასწორი ინტერპრეტირების საფრთხე, გამომდინარე იქიდან, რომ შეუძლებელია ასეთი მრავლისმომცველი შინაარსის მტვირთველი ცნების სრულყოფილად ჩამოყალიბების პრეტენზია გვქონდეს და მასში დეტალურად აისახოს ყველა ის გარემოება, რა უნდა ვიგულისხმოთ „საუკეთესო ინტერესში“. მით უმეტეს, რომ არც ერთი საერთაშორისო დოკუმენტი საუკეთესო ინტერესის შეფასებისას მხოლოდ ჩარჩოებს არ აწესებს, რომ კონკრეტულად მხოლოდ რიგი საკითხები არის საუკეთესო ინტერესი, მთავარია, მოცემული იყოს სახელმძღვანელო იდეის ზოგადი დეფინიცია, რაც შინაარსობრივად შეფასებული იქნება სხვადასხვა სიტუაციაში. ზემოთ განვითარებული მსჯელობიდან გამომდინარე, გამოდის, რომ საპატიმრო გირაოს გამოყენებისას საუკეთესო ინტერესის არსებობაზე თვალს ვერ დავხუჭავთ, იგი კომბინირებულად უნდა განიხილებოდეს და მხოლოდ ამის შემდეგ იქნეს მიღებული გადაწყვეტილება, საპატიმრო გირაოს კანონმდებლობაში რეგულირება არის თუ არა თანხვედრაში საუკეთესო ინტერესის პრიორიტეტულობასთან.

საპატიმრო გირაოს არსი და მისი გაგება იუვენალურ იუსტიციაში

² ზოგადი კომენტარი N10. (2007). ბავშვთა უფლებები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში. გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტი, გვ. 5

აღკვეთის ღონისძიებებთან დაკავშირებით, პირველ ყოვლისა აღსანიშნავია, რომ მის შეფარდებას აქვს პრევენციულ-უზრუნველყოფი ხასიათი, მისი გამოყენების მიზანი არ არის ბრალეულობის მტკიცება. მსჯელობის საგანია კონკრეტული აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანშეწონილობა, გამომდინარე იქიდან, რომ აღკვეთის ღონისძიების ამოცანაა მართლმსაჯულების ჯეროვანი განხორციელების უზრუნველყოფა (ბოჭორიშვილი.... 2020:22).

ნებისმიერ შემზღუდველი ხასიათის სისხლისსამართლებრივ საშუალებას გააჩნია კონკრეტული მიზანი, რომლითაც ლეგიტიმირებულია მისი გამოყენება. აღკვეთის ღონისძიების გამოყენების პრევენციულ-უზრუნველყოფილი ხასიათი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის პირველივე ნაწილშია ინკორპორირებული. აღნიშნული მუხლის მიხედვით უნდა განვიხილოთ ერთმანეთისგან დამოუკიდებლად და ამავდროულად ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში მყოფი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანი, საფუძველი, მისი გამოყენების მიზანშეწონილობის საკითხი. კერძოდ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, აღკვეთის ღონისძიება გამოიყენება იმ მიზნით, რომ ბრალდებულმა თავი არ აარიდოს სასამართლოში გამოცხადებას, აღიკვეთოს მისი შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობა, უზრუნველყოფილ იქნეს განაჩენის აღსრულება. იგი გამოიყენება სისხლისსამართლებრივი წარმოების ნებისმიერ ეტაპზე, გარდა გამოძიების ეტაპისა სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებამდე და განაჩენის აღსრულების პერიოდში (გიორგაძე.... 2015:558). აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისათვის აუცილებელია ერთობლიობაში გვექონდეს ფაქტობრივი და ფორმალური გარემოები. აღკვეთის ღონისძიების გამოყენება დასაშვებია, როდესაც არსებობს დასაბუთებული ვარაუდი პირის მიმართ დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის შესახებ და დადგენილია დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის გარემოებები, რაც ხელს შეუწყობს ბრალდებულის სამიშროების ობიექტურ შეფასებას, მისი მხრიდან მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლის მიზნით მართლსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელების დასაბუთებულად პროგნოზირებისათვის.³ აღკვეთის ღონისძიების გამოყენება არ უნდა ემყარებოდეს გრძნობებს, ინსტინქტებს, წინასწარ ჩამოყალიბებულ შეხედულებებსა თუ არსებულ ურთიერთობებს (ეთნიკური, რელიგიური, პოლიტიკური და ასე შემდეგ) (გიორგაძე.... 2015:559).

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით აღკვეთის ღონისძიებები ფაქტობრივად იყოფა ორ სახედ, ესენია - ძირითადი აღკვეთის ღონისძიებები და დამატებითი. ძირითადი და დამატებითი აღკვეთის ღონისძიებების პირობით განცალკევებას ის მნიშვნელობა გააჩნია, რომ დაუშვებელია გამოყენებული იქნეს ერთდროულად ორი ძირითადი აღკვეთის ღონისძიება, თუმცა შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ერთი ძირითადი და პლუს რამდენიმე დამატებითი აღკვეთის ღონისძიება.⁴

პატიმრობა არის პრევენციული ხასიათის ყველაზე მკაცრი აღკვეთის ღონისძიება და მაინც, მისი მიზანი არაა სადამსჯელო. იგი წარმოადგენს პრევენციულ ღონისძიებას, რომლის მიზანია სისხლისსამართლებრივი დევნისა და ზიანის შემდგომი მიყენების ან მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლის პრევენცია და არა პირის დასჯა (გიორგაძე.... 2015:590). არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი განსხვავებულად არეგულირებს არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ პატიმრობის გამოყენის საკითხს, კერძოდ, უფრო მეტად ზღუდავს და კანონისმიერ ჩარჩოებში აქცევს. არასრულწლოვანთა

³ თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის 2013 წლის 24 მაისის №1გ/294 განჩინება

⁴ საქართველოს კანონი „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი“ 60 (2). 2016.

მართლმსაჯულების კოდექსის 64-ე მუხლის მიხედვით პირველ რიგში ესაა უკიდურესი ღონისძიება, როდესაც სხვა სახის აღკვეთის ღონისძიების გამოყენება პრევენციულ როლს ვერ მიაღწევს.

არასრულწლოვნის ინტერესის უპირატესობა, რაც კუმულაციურადაა აუცილებელი მის მიმართ პატიმრობის გამოყენებისათვის პირდაპირ კავშირშია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პრინციპთა პრინციპთან, როგორცაა საუკეთესო ინტერესის პრიორიტეტულობა, შესაბამისად, აუცილებლად მხედველობაში მისაღები საკითხია. აღნიშნული ჩანაწერი არასრულწლოვნის ინტერესის უპირატესობის თაობაზე შეიძლება, რომ ორი მიმართულებით იქნეს გაგებულნი: 1) თანაფარდობის პრინციპის შესაბამისად დადგენილ უნდა იქნეს არასრულწლოვანი ბრალდებულის პატიმრობაში ყოფნა უპირატესია ვიდრე მისი თავისუფლებაში ყოფნა; პროპორციულობის პრინციპის თანახმად, მოსამართლე განსაზღვრავს ლეგიტიმურ საჯარო მიზანს, ამ მიზნის მისაღწევად სხვა, ნაკლებად რადიკალურ საშუალებას (კორკელია.... 2010:168); 2) პატიმრობამ არ უნდა გამოიწვიოს იმაზე მეტი ზიანი, რასაც შეეძლო მისთვის თავისუფლებაში ყოფნას გამოეწვია (შალიკაშვილი.... 2016:185). პატიმრობის გამოყენების კუთხით მნიშვნელოვანია მატერიალური საკითხების გაანალიზება, როგორც ერთის მხრივ, ოჯახის წევრების მხრიდან გაღებული ხარჯები, ასევე სახელმწიფოსთვისაც ძალიან მძიმე ტვირთია ბრალდებულის ციხეში შენახვა (ბოჭორიშვილი.... 2020:168).

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლის მეექვსე ნაწილით რეგულირებულია საპატიმრო გირაოს გამოყენების საკითხი, რომლის მიხედვითაც საპატიმრო გირაოს გამოყენების ერთადერთი წინაპირობაა ბრალდებულის დაკავების ფაქტი. დაკავების ფაქტის გამო გირაოს შეფარდებისას ბრალდებულის მიმართ ფაქტობრივად გამოიყენება მეორე აღკვეთის ღონისძიება - პატიმრობა. ამრიგად,

სსსკ-ი ითვალისწინებს ორი სახის გირაოს - ე.წ. საპატიმრო და არასაპატიმრო გირაო. ე.წ. „საპატიმრო გირაო“ გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო მისი დაკავებით, ხოლო თუ პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა იწყება მის მიმართ ბრალის წაყენებით - გამოიყენება არასაპატიმრო გირაო.⁵ ამრიგად, აღნიშნული მუხლის სიტყვასიტყვითი განმარტებით დაკავების ფაქტორი არის ერთადერთი საფუძველი „საპატიმრო გირაოს“ გამოყენებისა და რეალურად მოქმედი რედაქცია მოსამართლეს არ უტოვებს შესაძლებლობას, საკუთარი შეხედულების საფუძველზე გადაწყვიტოს ბრალდებულის მიმართ გამოყენებული იქნება თუ არა პატიმრობა (გიორგაძე.... 2015:580). ფაქტობრივად გამოდის, რომ მოსამართლე გადაწყვეტილებას შინაგანი რწმენის გარეშე,⁶ „ფორმალურად“ იღებს. აღნიშნული მუხლის ჩანაწერი პატიმრობას „უფარდებს“ გაგებულია იმგვარად, რომ მოსამართლეს დისკრეცია იმის, რომ თავად გადაწყვიტოს საკითხი არ აქვს (ლაცაბიძე, 2018:52); რადგანაც სიტყვა - „უფარდებს“ ნიშნავს რომ ყველა შემთხვევაში უფარდებს და არა მხოლოდ მაშინ როდესაც ამას სასამართლო ჩათვლის მიზანშეწონილად.⁷ სასამართლოს იმ შემთხვევაშიც არ რჩება შეფასების თავისუფლება, როდესაც პროკურორი არ ითხოვს გირაოს გამოყენების უზრუნველყოფის მიზნით პატიმრობის შეფარდებას, ვინაიდან დაკავების ფაქტი მისი

⁵ 2020 წლის 14 თებერვლის თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლის მე-6 ნაწილის პირველი წინადადების კონსტიტუციურობის თაობაზე. გვ.16

⁶ იხ. იქვე, გვ. 48

⁷ იხ. იქვე, გვ. 18

გამოყენების ერთადერთი წინაპირობაა. ამ შემთხვევაში კანონი აქცენტს იმაზე კი არ აკეთებს, ვინ რას და როგორ მოითხოვს, არამედ იმაზე რომ საბოლოო შედეგი უნდა იყოს პატიმრობა. მოცემული სიტუაციის სხვა ნაკლოვანება იმაშიც მდგომარეობს, რომ მოსამართლე გვევლინება ბრალმდებლის როლში და ის იყენებს უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებას, ვიდრე ეს პროკურორმა მოითხოვა.⁸ პატიმრობა უნდა იყოს ჯეროვნად დასაბუთებული, მიღებული გადაწყვეტილებები არ უნდა იყოს სტერეოტიპულად ფორმულირებული ან დასკვნების სახით მოწოდებული და დასაბუთება არ იყოს დეკლარაციული ხასიათის, ზოგადი და აბსტრაქტული, წინააღმდეგ შემთხვევაში ესაა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მესამე პუნქტის განსაკუთრებით სერიოზული დარღვევა (ნიპარიშვილი, 2016:42).

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი ნათელყოფს, რომ პირი/ორგანო, რომელიც განიხილავს პირის პატიმრობის საკითხს უნდა იყოს უზრუნველყოფილი შესაბამისი უფლებამოსილებით, რომ სათანადო საფუძვლის შემთხვევაში გაათავისუფლოს დაკავებული. მოსამართლეს/მოხელეს უნდა ჰქონდეს გაათავისუფლების უფლებამოსილება და მან უნდა განიხილოს დაკავების საკითხი. მან უნდა მოუსმინოს მის წინაშე წარდგენილ პირს და სამართლებრივ კრიტერიუმებზე დაყრდნობით განსაზღვეროს გამართლებულია თუ არა პატიმრობა. აღნიშნული არის უმნიშვნელოვანესი სტანდარტი და მისი არარსებობა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის დარღვევას გამოიწვევს. ამ წესებს გირაოს პატიმრობის უზრუნველყოფით გამოყენების წესს თუ მიუხედავებთ, სადაც გადამწყვეტი ფაქტორი არის დაკავება და არა მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, ამით სერიოზული ზიანი ადგება სასამართლოს, როგორც დამოუკიდებელ ინსტიტუტს.⁹ განსაკუთრებულად წინააღმდეგობრივი არის შემთხვევა, როდესაც ერთი მხრივ პატიმრობის გამოყენება მიიჩნევა დაუშვებლად და არასაჭირო ღონისძიებად, რადგან გირაო უზრუნველყოფს აღკვეთის ღონისძიების მიზნებს, ხოლო აღნიშნული დასკვნის მიუხედავად პირს შეეფარდება პატიმრობა, რომელიც გირაოს გადაუხდელობის შემთხვევაში ბრალდებულის განგრძობადი პატიმრობის საბაზად გადაიქცევა. მისი ნაკლოვანება კარგად ჩანს, როდესაც პატიმრობაა მოთხოვნილი, სასამართლო გირაოს უფარდებას, ხოლო დაკავების ფაქტის გათვალისწინებით ასევე პატიმრობას, ანუ გამოდის, რომ თან უარია პატიმრობის გამოყენებაზე და თანაც თანხმობა. საბოლოო ჯამში კი, ბრალდებული გირაოს გადახდისათვის განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ კვლავ პატიმრობაში რჩება პატიმრობის დასაბუთების გარეშე, რაც შეუსაბამობაშია არა მხოლოდ სსსკ-ის პრინციპებთან, საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლთან, არამედ ევროპული სასამართლოს მიერ კონვენციის მე-5 მუხლზე დადგენილ პრაქტიკასთან.¹⁰

საინტერესოა, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში რამდენად შეიძლება გამოვიყენოთ პატიმრობა გირაოს უზრუნველსაყოფად, რასაც ითვალისწინებს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლის მეექვსე ნაწილი, რომლის მიხედვითაც სასამართლო პროკურორის ინიციატივით ან საკუთარი ინიციატივით გირაოს გამოყენების უზრუნველყოფის მიზნით პატიმრობას უფარდებას ბრალდებულს, რომლის მიმართაც გამოყენებულია დაკავება სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიების სახით, რომელმაც უნდა გადაიხადოს გირაო სრულად ან ნაწილობრივ (მაგრამ არანაკლებ

⁸ იხ. იქვე, გვ.18

⁹ იხ. იქვე, გვ. 21

¹⁰ იხ. იქვე, გვ. 23

50%-ისა).¹¹ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში პირდაპირი ჩანაწერი ამ საკითხთან დაკავშირებით არ არსებობს. თუმცა, მხედველობაში უნდა მივიღოთ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-2 მუხლის მესამე ნაწილი, რომლის თანახმადაც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში გამოიყენება საქართველოს სხვა ნორმატიული აქტების დებულებებიც, თუ ისინი არ ეწინააღმდეგება ამ კოდექსს ან/და არასრულწლოვნისათვის შედავას ითვალისწინებს. შესაბამისად, აღნიშნულ საკითხზე პასუხის მისაღებად უნდა ვიმსჯელოთ რამდენად შესაბამისობაშია ე.წ. საპატიმრო გირაოს გამოყენების საკანონმდებლო რეგულაცია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ზოგად პრინციპებთან. პირველ რიგში, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-9 მუხლი - პატიმრობა, როგორც უკიდურესი ღონისძიება, რაც პრინციპის დონეზე არასრულწლოვანთა მიმართ ერთგვარად პასუხს სცემს კითხვაზე შეგვიძლია თუ არა, რომ არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ გამოვიყენოთ ე.წ. საპატიმრო გირაო. დამატებითი არგუმენტაციისათვის, საინტერესოა ქართული სასამართლო პრაქტიკიდან მაგალითის გაანალიზება. კერძოდ, თბილისის საქალაქო სასამართლომ მარცვაში ბრალდებულ არასრულწლოვანს შეუფარდა საპატიმრო გირაო, რაც გასაჩივრდა სააპელაციო სასამართლოში, სადაც სასამართლომ გააკეთა შემდეგი განმარტება: „გირაოს უზრუნველყოფის მიზნით აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შესაძლებლობა სპეციფიკური უფლებამოსილებაა, რომელიც ზუსტად უნდა იქნეს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით დარეგულირებული. ასევე, ბრალდებულს აღნიშნულ საქმეში არ გააჩნია საკუთარი შემოსავალი და იგი მშობლების ან/და ნათესავის გადახდის იმედადაა, რაც მაღალი ალბათობით მისთვის პატიმრობის შეფარდების ტოლფასია. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაც გირაოს უზრუნველყოფის მიზნით პატიმრობის გამოყენებას არ მიიჩნევს მე-5 მუხლის დარღვევად, მხოლოდ კარგი დასაბუთების პირობებში, ასეთ მოცემულობაში კი, როდესაც სპეციალური კანონი არ ითვალისწინებს ამგვარ შესაძლებლობას, ამის დასაბუთება შეუძლებელი იქნება“.¹² ამგვარი დასაბუთების შესაბამისად საგამომიებო კოლეგიამ არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით დატოვა გირაო, ხოლო პატიმრობა გააუქმა.

იურიდიულ ლიტერატურაში გავრცელებულია შეხედულება იმის თაობაზე, რომ არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ არ უნდა იქნეს გამოყენებული გირაოს უზრუნველყოფად პატიმრობა (ქვერივიშვილი, 2017:109), რაც სავსებით ლოგიკური და სამართლიანია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონმდებლობის გაანალიზებიდან გამომდინარე.

ამ საკითხთან დაკავშირებით მსჯელობა კარგად არის განვითარებული ბათუმის საქალაქო სასამართლოს განჩინებაში, რომლის მთავარი არსიც ისაა, რომ შეუძლებელია საპატიმრო გირაო უზრუნველყოფდეს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად მოქმედებას, უფრო კონკრეტულად: „*არასრულწლოვან ბრალდებულთან დაკავშირებით, სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ არასრულწლოვანთა*

¹¹ სტატისტიკის მიხედვით, საპატიმრო გირაო ჩვეულებრივ გამოიყენება და რაიმე აკრძალვა პრაქტიკული კუთხით ამ აღკვეთის ღონისძიების მიმართ არ არსებობს - 2019 წლის 6 თვის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით - პროკურორის მიერ მოთხოვნილი პატიმრობის მაჩვენებელი შეადგენდა 42%-ს (62 საქმე), გირაო - 29%-ს (44 საქმე); არასრულწლოვნის მეთვალყურეობაში გადაცემა 21%-ს (31 საქმე); შეთანხმება გასვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ - 4%-ს (6 საქმე); გირაო პატიმრობის უზრუნველყოფით - 4%-ს (6 საქმე) - იხ. <http://pog.gov.ge/uploads/7bc4208f-statistika-arasrulwlovnebeze.pdf> [წვდომის თარიღი 5 სექტემბერი 2021 წელი]

¹² თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის 2016 წლის 28 სექტემბრის №1გ/1516 განჩინება

მართლმსაჯულობის კოდექსის 63-ე მუხლით გათვალისწინებულია არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს გამოყენება. თუმცა, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით არ არის განსაზღვრული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლის მე-6 ნაწილში მითითებული პატიმრობის უზრუნველყოფით გირაოს გამოყენება იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებული დაკავებულია. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-4 მუხლმა ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრა პროცესის მწარმოებელი ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინების აუცილებლობა. ამავე კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილში მითითებულია, რომ არასრულწლოვნის მართლმსაჯულების პროცესში გამოიყენება ამ კოდექსით გათვალისწინებული ნორმები, ხოლო რაც შეეხება სხვა საპროცესო ნორმის გამოყენებას, ამავე მუხლის მე-3 და მე-5 ნაწილების მოთხოვნიდან გამომდინარე, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი არ ეწინააღმდეგება ამ კოდექსს, ითვალისწინებს არასრულწლოვნის მიმართ შეღავათს და ემსახურება მის საუკეთესო ინტერესებს, შესაბამისად, სასამართლო მიდის დასკვნამდე, რომ არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული პატიმრობა გირაოს უზრუნველსაყოფად არ გამომდინარეობს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მოთხოვნებიდან და ეწინააღმდეგება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს, რის გამოც მის მიმართ გამოყენებული საპროცესო იძულების ღონისძიება დაკავები - განგრძობადი პატიმრობის სახით უნდა გაუქმდეს¹³

კვლევის მეთოდოლოგია

ლოგიკური, გრამატიკული, ისტორიული, ტელეოლოგიური, სისტემატური კვლევის მეთოდები, შედარებითი სამართლებრივი და პრობლემური ანალიზის მეთოდები გამოყენებულ იქნა საკითხთა დეტალური შესწავლისა და სწორი სამართლებრივი შეფასებისათვის, ასევე არაერთი ინოვაციური მიდგომის შემუშავებისათვის.

კვლევის შედეგები

ზემოთ განვითარებული მსჯელობიდან გამომდინარე გამოიკვეთა, რომ საპატიმრო გირაოს არსებობა იუვენალურ იუსტიციაში დაუშვებელია. საპატიმრო გირაოს გამოყენება არ შეიძლება ჩაითვალოს გამართლებულ სამართლებრივ რეგულირებად, იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომ ჩვეულებრივ არასრულწლოვანთა მიმართ პატიმრობის გამოყენება უნდა იყოს, როგორც უკიდურესი ღონისძიება და თან არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით არაა რეგულირებული საპატიმრო გირაოს საკითხი და პლუს იმ მთავარ გარემოებაზე დაყრდნობით, რომ არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებისკენ არაა მიმართული ამგვარი ზომის გამოყენება, შესაბამისად, გირაოს სახელით შეფარდებული თანხის გადახდამდე განგრძობადი პატიმრობა ვერ შეფასდება სამართლებრივად სწორად (კვაჭაძე... 2019:83). როდესაც ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების შემზღვეველ ღონისძიებაზეა მსჯელობა, მით უმეტეს იმ წინაპირობით, რომ საკითხი ეხება

¹³ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 28 დეკემბრის №10/ა- 19/18 განჩინება

მართლმსაჯულებით სისტემაში მოხვედრილ არასრულწლოვანს როგორც მინიმუმ საკანონმდებლო დონეზე ორაზროვნების გარეშე მითითება მაინც უნდა არსებობდეს შემზღვეველი ღონისძიების მიმართ, რაც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში არ არსებობს საპატიმრო გირაოსთან მიმართებით, შესაბამისად, საკითხი საკანონმდებლო დონეზე საჭიროებს გაანალიზებას და საკანონმდებლო აქტში შესაბამისად ასახვას. წინააღმდეგ შემთხვევაში გამოდის, რომ კანონმდებელი დუმს და ამით საკითხის არასრულწლოვნისადმი უარყოფითად გადაწყვეტის შესაძლებლობას იძლევა, რაც ლიბერალურ მიდგომებზე მდგარი იუვენალურ იუსტიციისათვის დაუშვებელია.

დასკვნა და რეკომენდაციები

არასრულწლოვანთა დანაშაული ესაა საერთაშორისო ფენომენი და ამ პრობლემას მსოფლიოს ვერც ერთი ქვეყანა ვერ გაექცა. იმისათვის, რომ მივუახლოვდეთ სამართლებრივი სახელმწიფოს იდეალურ ტიპს, სხვა მრავალი საკითხის მოწესრიგებასთან ერთად აუცილებელია დანაშაულობის აღმოფხვრა ქვეყნის მასშტაბით. დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს არასრულწლოვან დამნაშავეებს, რომლებიც ნებით თუ უნებლიეთ, შეგნებულად თუ გარემო პირობების წყალობით, დამნაშავეები აღმოჩნდნენ. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განვითარება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საკითხია ქართულ სამართლებრივ რეალობაში. მით უფრო, როდესაც საქმე ეხება არასრულწლოვანთა უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვის შემთხვევას, როგორცაა, მაგალითად პატიმრობა. პირველ ყოვლისა, გასათვალისწინებელია, რომ მისი მიზანია პრევენციულ-უზრუნველყოფი და არავითარ შემთხვევაში სადამსჯელო, გამოყენების დასაბუთება უნდა იყოს კონკრეტულ გარემოებებზე დაყრდნობილი და არავითარ შემთხვევაში აბსტრაქტული, რადგან აქ საუბარია არასრულწლოვანზე, განვითარების პროცესში მყოფ ადამიანზე, რომლის მიმართაც საუკეთესო ინტერესის პრინციპის არსებობა ყველა სამართალდამცავ სტრუქტურას ავალდებულებს, რომ მაქსიმალური ყურადღება გამოიჩინოს და შაბლონურად არ მიუდგეს საკითხს.

პატიმრობის საკითხზე მსჯელობისას ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია საპატიმრო გირაო, მით უფრო როდესაც ეს ეხება არასრულწლოვნებს, მართალია პირდაპირ რეგულირებული არაა ამკ-ით საპატიმრო გირაოს საკითხი, მაგრამ რაც პირდაპირ არაა მოცემული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით რეგულირდება. სასამართლო პრაქტიკა აჩვენებს, რომ არასრულწლოვანთა მიმართ საპატიმრო გირაო გამოიყენება, რაც არანაირად არ შეესაბამება ბავშვის საუკეთესო ინტერესს და ამასთან, მთელი რიგი უფლებების არასწორად განმარტებასთან გვაქვს საქმე, როცა საპატიმრო გირაოზეა საუბარი, ამიტომაც, ეს ინსტიტიტი არ უნდა გამოიყენებოდეს არასრულწლოვანთა მიმართ. აუცილებელია საკითხის საკანონმდებლო დონეზე გადაწყვეტა და თეთრით შავზე მითითება, რომ საპატიმრო გირაო - იუვენალურ იუსტიციაში დაუშვებელია.

ბიბლიოგრაფია

ბოხაშვილი, ი., ბენიძე, მ. (2009). არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხები. *სამართლის ჟურნალი*, 2, გვ. 35.

ბოჭორიშვილი, თ., თავალანძე, ბ. (2020). აღკვეთის ღონისძიების სტანდარტები. თბილისი, გამომცემლობა „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“.

გიორგაძე, გ. (2015). საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი. თბილისი, გამომცემლობა „ამერიკის იურისტთა ასოციაცია“.

ვარძელაშვილი, ი. (2017). არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის, როგორც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის უმნიშვნელოვანესი პრინციპის მნიშვნელობა სასამართლო პრაქტიკაში. *სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები*, 1, გვ. 72.

კავთუაშვილი, ე. (2019). არასრულწლოვანის გამოკითხვა და დაკითხვა. *სამართალი და მსოფლიო*, 11, გვ. 156.

კვაჭაძე, მ. (2019). აღკვეთის ღონისძიებათა გამოყენება არასრულწლოვანთა მიმართ: საერთაშორისო სტანდარტების ასახვა ეროვნულ სასამართლო პრაქტიკაში. თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“.

კორკელია, ვ. (2010). ადამიანის უფლებათა დაცვის კონსტიტუციური და საერთაშორისო მექანიზმები. დაკავებისა და დაპატიმრების გამოყენების სამართლებრივი საფუძვლები სისხლის სამართლის პროცესში. თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“.

ლაცაბიძე, გ. (2018). პატიმრობით უზრუნველყოფილი გირაოს, როგორც აღკვეთის ღონისძიების თავისებურებები სისხლის სამართლის პროცესში. *სამართალი და მსოფლიო*, 10, გვ. 52.

ნიპარიშვილი, ბ. (2016). პატიმრობა, როგორც გირაოს გამოყენების უზრუნველყოფის საშუალება. *მართლმსაჯულება და კანონი*, 2(50), გვ. 42.

ტულუში, თ. (2013). ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, 1996-2012 წლების სასამართლო პრაქტიკა. თბილისი, გამომცემლობა „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“.

ქვრივიშვილი, თ. (2017). არასრულწლოვნის პატიმრობა, როგორც უკიდურესი ღონისძიება - ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და საქართველოს სასამართლოების პრაქტიკის ანალიზი. *სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები*, 1, გვ. 109.

ქუთათელაძე, მ. (2016). განრიდება, არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესებზე დაფუძნებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიხედვით. *მართლმსაჯულება და კანონი*, № 4(52), 112.

შალიკაშვილი, მ., მიქანაძე, გ. (2016). არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი, გამომცემლობა „მერიდიანი“.

შალიკაშვილი, მ., მიქანაძე, გ. ხასია, მ. (2014). სასჯელაღსრულების სამართალი, თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“.

შეილაძე, ხ. (2016). არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის პრიორიტეტულობის პრინციპის არსი. *სამართლის ჟურნალი*, 2, გვ. 284-286.

ჩხეიძე, ი. (2018). არასრულწლოვანთა განრიდება-მედიაციის პროგრამა. თბილისი, გამომცემლობა „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი“.

Hammarberg, T. (2008). The principle of the best interests of the child – What it means and what it demands from adults, Strasbourg, „Council of Europe“.

Emelonye, U. (2014). Proportionality and best interests: Calibrating the twin pillars of child justice in Nigeria, Helsinki, „University of Helsinki“.

Howe, R .B., Covell, K. (2013). Education in the best interest of the child: a children’s rights perspective on closing the achievement gap, Toronto, „University of Toronto Press“.

Freeman, M. (2007). A Commentary on the united nations convention on the rights of the child, article 3, Best interests of the child. Boston, „Martinus nijhoff publishers”.

Reynaert, D. (2014). children’s best interests between theory and practice, Belgium, „Flanders”.

Okott-obbo, G. (2008). UNHCR Guidelines on Derermining the best interests of the child, Geneva, Switzerland, „THE UN Refugee Agency”.

Elliston, S. (2007). The best interests of the child in healthcare. London, New-York, „Routledge – Cavendish”.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის 2016 წლის 28 სექტემბრის №1გ/1516 განჩინება;

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 28 დეკემბრის №10/ა- 19/18 განჩინება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის 2013 წლის 24 მაისის №1გ/294 განჩინება;

ზოგადი კომენტარი N10. (2007). ბავშვთა უფლებები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში. გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტი.

საქართველოს კანონი „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი“ 3, 2016;

2020 წლის 14 თებერვლის თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლის მე-6 ნაწილის პირველი წინადადების კონსტიტუციურობის თაობაზე.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის განმარტებითი ბარათი.

ხელმისაწვდომია: <https://factcheck.ge/wp-content/uploads/2015/06/file0012.pdf>

[წვდომის თარიღი: 5 სექტემბერი 2021]